# ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


## ა. კერესელიძის ქუჩა №17



თბილისი


2019, მარტი

საკვლევი ობიექტი ზემო ვერისუბნის ფარგლებში, კერესელიძის ქუჩის №17-ში მდებარეობს. ეს ტერიტორია ქ. თბილისი ურბანული მემკვიდრეობის მკაცრი დაცვის ზონაში ექცევა.



დღევანდელი თბილისის ერთ-ერთი ცნობილი უბანი ვერა, თავის დროზე სოფელი იყო, რომელიც თბილისს ეკვროდა. XIX-ის 60-იანი წლებიდან მან ქალაქთან ინტეგრირება დაიწყო, გაჩნდა პირველი ქალაქური ტიპის დასახლება, აშენდა აგურის ქარხნები. თბილისის სრულფასოვან უბნად ვერა XIX საუკუნის 80-იან წლებში იქცა, როცა აქ ინტენსიური და რეგულარული ქალაქური განაშენიანება დაიგეგმა.

ვერისუბანი მოიცავს ტერიტორიას მდინარე ვერეს ქვედა დინებიდან, ვიდრე ელბაქიძის დაღმართამდე. ვერაზე გადიოდა დიღმის საქარავნო გზა (დღევანდელი კოსტავას ქ.) და წყნეთის გზა (მელიქიშვილის ქ.). უბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წელს იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (დღევანდელი მ. ჯავახიშვილის) გაჭრამ. ხიდმა ქალაქის ორი მაგისტრალი – გოლოვინსკისა და მიხეილის (რუსთაველის და აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა ერთმანეთს. გოლოვინსკის პროსპექტი ვერისუბნის მიმართულებით გაგრძელდა. იგი შეუერთდა ოლღას ქ.-ს (კოსტავას ქ.), რომელიც დაახლოებით ვერის ბაღთან მთავრდებოდა და წყნეთის (მელიქიშვილის ქ.) ქუჩებს. ამ ქუჩათა გასაყარზე მცირე მოედანი წარმოიქმნა (დღევანდელი ფილარმონია). ვერისუბნის გეგმარება დღესაც შენარჩუნებულია. მას დიდად განსაზღვრავს რელიეფი (უბანი ნაწილობრივ მთის ფერობზეა განლაგებული) და მასთან მისადაგებულია ქუჩების მრუდხაზოვნება.




ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისითაც არ დაუკარგავს უბანს თავისი მნიშვნელობა. ვერაზე დღესაც გადის ქალაქის მთავარი მაგისტრალები (თავისუფლების მოედანი – რუსთაველის პროსპექტი – კოსტავას ქ. და მელიქიშვილის ქ. – ვაკე), რომლებიც თბილისის ცენტრს ახალ უბნებთან აკავშირებს.

ვერისუბნის განაშენიანება კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების პარალელურად ვითარდება. ეს ქუჩები უბნის განაშენიანებას ქუჩათა პერპენდიკულარული სისტემის მეშვეობით უკავშირდებოდა.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. ვერაზე ახალი, ქალაქური ტიპის სახლების უფრო მასშტაბური მშენებლობა დაიწყო. ეს სახლები თავისი გეგმარებითა და მხატვრულ-არქიტექტურული სახით იმ დროის თბილისური არქიტექტურის საერთო ტენდენციებს მიჰყვება. XX ს-ში ვერა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბნად იქცა.

კერესელიძის ქუჩა ერთ-ერთი გამორჩეული მონაკვეთია ვერის უბნის ზედა კვარტლის განაშენიანებაში. ამ თავისებურებას განსაზღვრავს, როგორც მთაგორიანი რელიეფი, ასევე ქუჩაზე შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების განსაკუთრებული ღირებულება. მაყაშვილის ქუჩის უკანასკნელი ზედა სახლები უკვე გოგებაშვილის ქუჩის მხარეს ვითარდება. თუმცა სწორედ ამ მონაკვეთში არქიტექტურულად ღირებული ნიმუშები შემორჩენილი არ არის.



საკვლევი მონაკვეთის მიდამოებში, კერესელიძისა და ერისთავ-ხოშტარიას ქუჩების განაშენიანება ძირითადად XX ს-ის დასაწყისის ორ-სამსართულიანი აგურის საშუალო ფენის კუთვნილი კერძო სახლებისგან შედგება. მათ შორის იშვიათად ვხვდებით ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების ნაგებობებს. ამჟამად ერისთავ-ხოშტარიას და კერესელიძის ქუჩის №15/12 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.





სახლი ორსართულიანია, მთლიანად ე.წ. ახალი აგურით ნაგები. ერისთავ-ხოშტარიას ქუჩის მხარეს სახლის სხვენზე მცირე მეზონინის ფორმის სათავსოა განთავსებული, ხოლო კერესელიძის ქუჩის მხრიდან სახლს ხის შუშაბანდიანი აივანი აქვს შეკიდული.

შენობის ფასადები სრულიად სადაა, მოკლებული ყოველგვარ მხატვრულ გაფორმებას. აგურის ფასადზე ერთადერთი აქცენტირებული მოტივი ფანჯრების მორკალური თავსართებია. ასევე შემორჩენილია ძველი სადარბაზოს ხის კარი (ორნამენტის გარეშე). რაც შეეხება ხის ნაწილებს (სამერცხულის და აივნის ალათებს), ისინი სადაა, ჭვირული დეკორის გარეშე.



ერისთავ-ხოშტარიას 15/12-ის ინტერიერი ტიპიურია XX ს-ის დასაწყისის საშუალო ფენის საცხოვრებლისთვის. სადად გალესილი საცხოვრებელი ოთახები მოკლებულია ყოველგვარ კაზმულობას (ბუხრებს, კედლის ნახატს და სხვ.). სახლის ორი სართული რიკულებიანი სადა ხის კიბით კავშირდება, თუმცა, აღსანიშნავია ზოგადად როგორც კიბის, ასევე სართულშუა გადახურვისა და ხის შუშაბანდების მძიმე ფიზიკური მდგომარეობა.

ძეგლის მეზობელი შენობა, ა. კერესელიძის ქ. №17, მაღალი, ორსართულიანი აგურით ნაშენი სახლი, ასევე ატარებს სიძველის ნიშანს, თუმცა, არ არის მიჩნეული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშად.



სახლის საფასადე კომპოზიცია სადაა, შეულესავი აგურით ნაშენი კედელი მართკუთხა ღიობების რიტმით არის დანაწევრებული. სართულშუა სარტყლები აგურის მოცულობითი წყობით არის გამოყვანილი. ასეთივე სარტყლებით არის მოსაზღვრული სახლის მაღალი პარაპეტი, რომლის მიღმა ორქანობა სახურავი იკვეთება. სახურავის ცენტრალურ ნაწილში ტრადიციული ფორმის სამერცხულია განთავსებული.

ეზოს მხარეს შენობის იერსახე ტრადიციულია ძველი უბნისთვის და ხის გალერეა-შუშაბანდებით გაფორმებულ ფასადს წარმოადგენს. შუშაბანდებისა და აივნების მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ნაწილი მათგანი ჩამოშლილია.





შენობის კონსტუქციული დასკვნის მიხედვით "არსებული მდგომარეობით აღნიშნული შენობების საყრდენ მზიდ ელემენტებს ხანდაზმულობის შედეგად აღენიშნება ბზარების კვალი, და აგურის ფრაქცია ფაქტობრივად დარღვეულია. ჩატარებული კვლევის მიხედვით შენობები იმყოფება მკვეთრად ავარიულ მდგომარეობაში. წარმოდგენილი მდგომარეობა განპირობებულია ხანდაზმულობის შედეგად და ფაქტობრივად კედლები განიცდის შლას (დარღვეულია აგურის სიმტკიცე და განიცდის შლას) აქედან გამომდინარე გამაგრებითი სამუშაოების განახორციელება მიზანშეუწონარია, ვინაიდან შენობის ძირითადი მზიდი კედლების აღდგენა და გამაგრება შეუძლებელია."

## დასკვნა-რეკომენდაცია

კერესელიძის ქ. №17 ნაგებობა, ზემო ვერისუბნის განაშენიანების ერთ-ერთი ტიპიური ნიმუშია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარედ მდებარეობს. შესაბამისად, მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს მიკროუბნის მასშტაბის და არქიტექტურული იერსახის გათვალისწინებით.

კონსტრუქციული დასკვნის მიხედვით და იმ გარემოებით, რომ შენობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, შესაძლებელი ხდება შენობის დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი მოცულობის აგება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მოცულობის მასშტაბი უნდა მიესადაგოს კერესელიძისა და ერისთავ-ხოშტარიას ქუჩათა კვეთაზე მდებარე განაშენიანებს მასშტაბს.
- შენობის ფასადები უნდა შესრულდეს უბნისთვის ტრადიციული მასალებთ და ფერადოვნებით.
- ახალ მოცულობაში აუცილებელია აისახოს არსებული ისტორიული შენობის მხატვრულ-არქიტექტურული იერსახე, რომლის მიხედვითაც უნდა აიგოს თანამედროვე ნაწილი, ფონური არქიტექტურის პრინციპით
- ეზოსკენ მიმართული ნაწილიც ძირითადად სასურველია გადაწყდეს ხის შუშაბანდების მსგავსად;
- ალათების ფაქტურა შესაძლებელია იყოს როგორც ხე, ასევე ხისფერი მეტალოპლასტმასი ან ალუმინი.
- გადახურვის ფორმა და ფერი მიესადაგოს უბნის ჟანგისფერი სახურავების ფაქტურას და ფორმას.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი




არსებული №1




ფოტომონტაჟი №1


არსებული №2




ფოტომონტაჟი №2


არსებული №3




ფოტომონტაჟი №3


არხაბაძე №4






ფოტომონტაჟი №4


არსებული №5





# ფოტომონტაჟი №5



სარდაფის სართული (ავტოსადგომი)
580
580
580
201,5 m²
600
530
550
410
250
40
250
310
50
20
520
620
480
440
700
600


პირველი სართული
1 820
40
580
580
580
40
370
20
30
10
225
29,0 m²
50,6 m²
39,6 m²
39,3 m²
53,9 m²
48,2 m²
3,1 m²
3,0 m²
3,0 m²
34,6 m²
±0,00
520
620
480
141
440
700
600
1 740


მეორე სართული




მესამე სართული



მეოთხე სართული



# ტერასის სართული




დეტალი №4


დეტალი №3



დეტალი №2



დეტალი №1